ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 1424228001**

თარიღი:**15/08/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის განაცხადების მიღების თაობაზე

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირების/ოჯახების მეორე ეტაპის განაცხადების მიღება 2024 წლის 19 აგვისტოდან და დასრულდეს 2024 წლის 31 დეკემბერს.

2. განაცხადების მიღება მოხდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრებში, შემდეგ მისამართებზე:

ა) გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეული - აფსაროსის გზატკეცილი, III შესახვევი №22;

ბ) აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეული - აეროპორტის გზატკეცილი N55;

გ) ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეული - დიდაჭარის ქ. N21;

დ) კახაბრის ადმინისტრაციული ერთეული - ფრიდონ ხალვაშის გამხირის მე-12 ჩიხი N2;

ე) აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეული - დავით აღმაშენებლის ქ.N19ᵃ;

ვ) ხიმშიაშვილის ადმინისტრაციული ერთეული - ტბელ აბუსერიძის ქ. N7;

ზ) ჯავახიშვილის ადმინისტრაციული ერთეული - ი. ჯავახიშვილის ქ. N70;

თ) თამარის ადმინისტრაციული ერთეული - კონსტიტუციის ქ. N1;

ი) ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციული ერთეული - გოგოლის ქ. N14;

კ) ბაგრატიონის პირველი ადმინისტრაციული ერთეული - ვაჟა ფშაველას ქ.N91ᵃ;

ლ) ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეული - ჭავჭავაძის ქ. N75;

მ) რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული - ლერმონტოვის ქ. N8;

ნ) ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეული - ლუკა ასათიანის ქ. N37ᵃ;

ო) მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეული - ახალგაზრდობის ქ. N2ᵇ.

3. განაცხადების მიღება განხორციელდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმების შევსების გზით (თან ერთვის).

4. უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის განაცხადს უნდა ერთოდეს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკარო პირად რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

5. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისათვის განაცხადს უნდა ერთოდეს:

ა) ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ) ოჯახის წევრთა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) ოჯახი უფლებამოსილია წარმოადგინოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

6. განაცხადების მიღება განხორციელდეს მატერიალური ფორმით, დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად.

7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციის შესაბამისმა კომისიამ შეისწავლოს წარმოდგენილი განაცხადები (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად), უზრუნველყოს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოძიება შესაბამისი ორგანოებიდან და მიიღოს წესით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები.

8. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს მოამზადოს საინფორმაციო რგოლი უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის შესახებ და უზრუნველყოს მისი ადგილობრივ მედიასაშუალებებში განთავსება, ასევე, შესაბამისი საინფორმაციო მასალების დამზადება.

9. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში

(მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი